ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №12

2017 წლის 3 აპრილი

სოფ. წეროვანი

„ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (29/12/2014 წ. სარეგისტრაციო კოდი 010260020.35.150.016073)

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების საფუძველზე, ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №28 დადგენილებით (29/12/2014 წ.; სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.150.016073) დამტკიცებულ გამგეობის დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 1. ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების მე-6 მუხლის მეხუთე პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ა“. საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევს გამგეობის, გამგეობის სამსახურებისა და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების საქმიანობას.

2. 1. დებულების მე-6 მუხლის მეხუთე პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ბ“. საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობის, გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიულ ორგანოთა დებულებებს.

3. 1. დებულების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.თ“. ამტკიცებს გამგეობის შინაგანაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და მოხელეთა დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

4. 1.დებულების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ.ვ“. არაუგვიანეს თებერვლის თვისა საკრებულოს უგზავნის შესყიდვების გეგმის შესაბამისად წინა წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშს; ახორციელებს შესყიდვებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5. 1.დებულების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ.ბ“. საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებებს: შესაბამისი კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ. ამ კანონის შესაბამისად კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნებაში მონაწილეობისა და მასში გაწევრების შესახებ; მეწარმე იურიდიული პირის წილის/აქციების შეძენის შესახებ;

6. 1. დებულების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის „ე.ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დებულებას დაემატოს „ე.ვ^{1}“ ქვეპუნქტი შემდეგი შინაარსით:

„ე.ვ^{1}“. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან/და დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების (მათ შორის, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების) მიზნით ქმნის კომისიებს, რომელთა უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით (უფლებამოსილების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებით ან/და კანონის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით).

7. 1.დებულების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ“. ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარებისა და საზოგადოებრივი მომსახურების სამსახური.

8. 1. დებულების მე-12 მუხლის პირველი პუნქტის ბოლო სიტყვები – „თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების მომზადება, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შეფასება“ ამოღებული იქნეს;

9. 1. დებულების მე-12 მუხლის მე-3 პუნქტს ბოლოში დაემატოს სიტყვები: „თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების მომზადება, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების შეფასება“.

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **თამაზ ბალაშვილი**